საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სოციალისტურ-დემოკრატიული პარტია

№ 283 1918 წ. ოთხშაბათი ივლისის 17 № 283

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ზუგდიდის მაზრაში მობოლშევიკე ბრბოები თავს ესხმიან მცხოვრებლებს და იარაღს ჭერიან.—საჩხერეში მეამბოხეები კვლავ თარეშობენ.—სომხების მთავრობა და ეროვნული საბჭო ერევანში გადავიდა.—ეროვნულ საბჭოში ეროვნულ უმცირესობათ 28 წევრი ეყოლებათ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ—1 მან., უკან—50 კაპ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15—2 ღირს 10 მან., 20—2 ღირს 15 მან., 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (ყ. თავართქილაძესეული „ნადეუდა") ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება სამი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მკირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ", поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის საფასურებ. 50 კაპ.

ტელეფონი 12—29

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:

ერთის თვით 8 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 40 კ., რკ. გზის ხადგურებზე 50 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის უთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

ღრმად დამწუხრებული შვილები, ძმები, დები, სიძეები და რძლები: სიმონ და ნინო, გრიგოლი, ილია, შალვა, დავით და კონსტანტინე, ქეთევანი, მარიამ ანა და შუშანა მხეიძეები, ერასტი ბაბად ოღლი და დათიკო ჯაფარიძე, ეკატერინე და ტერეზია გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებს ძვირფასი

ვლადიმერის

გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფელ თერჯოლაში შორაპნის მაზრა ხუთშაბათს ივლისის 18-ს 12 საათზე.

1470

გულჩათუთქულნი და ფაცუნია (ანა) სვიმონის ასული და დათიკო ვლადიმერის ძე ჯაფარიძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს რომ ბორჯომში გარდაიცვალა ძვირფასი

ვლადიმერ სვიმონის ძე მხეიძე

დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს ივლისის 18 ს, სოფელ თერჯოლაში, შორაპნის მაზრა. 12 საათზე.

ანონსი

შაბათს, 1918 წლის ივლისის 13-ს გაიხსნება პირველი ხარისხის სახადილო

„საქართველო"

ყოფილი „ამირანი" პუშკინის ქუჩა ძველი სემინარიის შენობაში. შენობა ახლად შეკეთებულია ყალკე კაბინეტებით დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.

სადილი შუადღის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდი, ვახშამი საღამოს 9 საათიდან დამის 1 საათამდი. სამზარეულო აზიური და ევროპიული, საქმელები კეთდება საუკეთესო მასალიდან საუკეთესო მზარეულის ხელმძღვანელობით.

ხუთშაბათს, ივლისის 18-ს ამა 1918 წ. საღამოს 7 ნახ. საათზე, ტფილისის ქართული საფილარმონიო საზოგადოების სამუსიკო სასწავლებლის სადგომზე (სოლეპკოვის ქ. № 4) დანიშნულია

საგანგებო საზოგადო კრება
ქართული საფილარმონიო

საზოგადოების წევრთა

განსახილველია საკითხი საზოგადოების მოქმედების გაფართოებისა და ამასთან ერთად შემუშავება შესაფერ წესებისა.

ამ მეტად სერიოზულ საკითხების გადასაწყვეტად და თანახმად საზოგადოების წესდებისა მე 41 მუხლისა, რომ ეს კრება კანონიერად ჩაითვალოს საჭიროა დასწრება საზოგადოების წევრთა ორი მესამედი რიცხვისა. 1211

18 წლის ცნობილი **გამომჭრელი** (ზაკროიშჩიკი)

წევრი ექსპერტი პეტროგრადის და მოსკოვის გამომჭრელთა კავშირისა,

ჯ. მ. კაშია

ხსნის ამ ზაფხულს ოთოვე სქელისთვის ყოველნაირს

ჭრის კურსებს

ყოველ ოჯახისა სახელოსნოსთვის საჭიროა სამაგალითო საადგილო ახალ გამოგონილ სისტემით. როგორც მკერვალი ისე არა მკერვალიც, ადვილად ითვისებს, ლექცია—საუბრებით, რომელიც აუცილებელია ყოველი ევროპიელი შეგნებული მცოდნე ჭრა მკერვალისთვის. მისამართი სასახლის ჩა სახლი ქართ. თავად აზნაურობისა, ეზოში მიქელაძის სამკერვალოში № 24 ჩაწერა შეიძლება 5—7 საათ. საღამოს. საზოგადოებასა და კავშირებს შედავათი. დარიბთ ერთი ადგილი და ყველას სანიმუშო გაკეთილი უფ სოდ. მეცადინეობა იქნება დილითა და საღამოთი კურსებთან ერთად იქნება პრაქტიკული სახელოსნო. 794

ტფილისის დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის სამრევლო

ბ ა ბ ჯ ო

პატივისცემით სთხოვს ამავე ეკლესიის მრევლს, რომ დაესწროს სამრევლო კრებას, რომელიც დანიშნულია კვირას, ივლისის 21-ს, ახალის სტილით წირვის შემდეგ.

განსახილველი საგნები: ა) გარდაწყვეტილება ძვირფას ნივთეულობის შესახებ და ბ) არჩევნები მრევლის ორი რწმუნებულისა და მათი ორი კანდიდატისა საოლქო საბჭოს და საოლქო სასამართლოს წევრთა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად.

კრება კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც გამოცხადდება. 753

სოფელ რუისში

ივლისის 18-ს

21-მდე იქნება საფეიერო სკოლის ხელსაქმეების გამოფენა.

ყიდვა ამ ნივთებისა შეიძლება ივლის 21 ის შემდეგ. 756

კრემი „სენსუალიდ"

პირისახისა და ხელებისათვის საუცხოვო, პარიზის კრემი, ასუფთავებს კანს, სპობს ლაქებს და ნაოჭს. იყიდება ყველა საუფთაოქო მაღაზიაში. 755

ტფილისი. 1918 წ. ივლისის 16.

ამიერკავკასია და საქართველო. სომხების გაზ. „კავკასლოვო" თითქმის ყოველ დღე ერთსა და იმავე თემაზე სწერს: მას ჰსურს საქართველოს სახელმწიფოებრივობასა და დამოუკიდებლობას დაუპირისპიროს ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივობა, ე. ი. ის, რაც ამ რამდენისამე ხნის წინად იყო და რაც ასეთის ელვის სისწრაფით დაირღვა. „კავკასლოვო"-ს ძალიან მოკლე მეხსიერება ჰქონია და სწორედ ამიტომაც დაჰვიწყებია, რა პირობებმა დაარღვიეს ამიერკავკასია და წარმოშვეს საქართველოს დამოუკიდებლობა.

ეს პირობებია ოსმალეთის იმპერიალიზმი ერთის მხრით და ადერბეიჯანის თურქოფილობა—მეორეს მხრით. მთლიანი ამიერკავკასია, სადაც დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა ადერბეიჯანელ მაჰმადიანებს, ფატალურის აუცილებლობით ვარდებოდა ოსმალეთისა და მისი მახინაციების გავლენის ქვეშ. ახლო წარსული ამის საუკეთესო მაგალითს გვაძლევს.

დღეს მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა და არც შეიცვლება იმ დრომდე, სანამ ჩვენში არ შეიქმნება ისეთი სახელმწიფოებრივი ერთეული, რომელიც სათანადო პასუხს გასცემს ოსმალეთის იმპერიალისტურ ზრახვას, როგორც ამიერკავკასიაში საზოგადოდ, ისე საქართველოში—კერძოდ.

„კავკასლოვო"-ს ეს საფრთხე თავიდან აცილებულად მიაჩნია მხოლოდ იმიტომ, რომ ოსმალეთის შემოსევა დროებით შეჩერებულია. ძალიან საეჭვოა, რომ სომხური გაზეთის პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა ამაზე შორს ვერ მიდის და ასე ადვილად ინუგეშებს თავს მაშინ, როდესაც ჯერ ნახევარი საქმეც კი არ არის გაკეთებული. ძალიან საეჭვოა, რომ სომხური გაზეთი ასეთს გულმავიწყობას იჩენს და უკვე მზად არის თურქოფილურ ადერბეიჯანს ჩაეკრას გულში დიდი ხნით დაღპული ამიერკავკასიის მთლიანობის აღსადგენად.

ჩვენ პოლიტიკური ფორმები ისტორიულად გაყინულ ფორმებად არ მიგვაჩნია: იქნება როდისმე, მართლაც, დადგეს ისეთი დრო, როდესაც სახელმწიფოებრივი გაერთიანება ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა შესაძლებელი გახდეს. მაგრამ ეს მოჰხდება ყოველ შემთხვევაში არა ადრე იმისა, სანამ ყველა სადავო საკითხი ოსმალეთთან არ გადასწყდება და საქართველოც არ გადაიქცევა ისეთს სახელმწიფოებრივ სხეულად, რომლის განვითარებასაც ვერავითარი ახალი კომბინაცია ვეღარაფერს დააკლებს.

საქართველო უპირველეს ყოვლისა სახელმწიფოდ უნდა გადაიქცეს. მან უნდა აღადგინოს ყველა თავისი სახელმწიფო დაწესებულება, მან უნდა სრული გაეროვნება მოახდინოს სკოლისა და სასამართლოსი; მან უნდა უზრუნველჰყოს თავისი ტერიტორიის მთლიანობა და ხელშეუხებლობა. როდესაც საქართველო ამ ისტორიულ გზას გაივლის, მაშინ დავინახავთ, სასურველია და სასარგებლო ამიერკავკასიის მთლიანობის აღდგენა თუ თუ არა. ეს უკვე მომავლის საქმე იქნება და საქმე სახელმწიფოებრივი ინტერესისა. ჯერ კი სანამ ეს ისტორიული გზა საქართველოს არ გაუვლია, სანამ თავიდან არ მოუცილებია თურქოფილებისა და ოსმალეთის იმპერიალისტური საფრთხე, საქართველო ისევ თავის პოზიციაზე დარჩება და განა რძობს დადებითს, საალმშენებლო სახელმწიფოებრივ მუშაობას.

სომხური პრესა

ტფილისის მიმზიდველი ძალა.

ამას წინად „ჰორიზონიდან" წერილი გვქონდა გადმობეჭდილი, სადაც აღნიშნული იყო, რომ ერთი მიზეზი იმისა, რომ სომეხთა ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწე ერევანში გადასვლასა და ქაჯაზნუნის მთავრობაში შესვლას არა სთანხმდება, ის უნდა იყოს, რომ ამ ხალხს ტფილისიდან ეძნელება, თორემ სულ სხვა იქმნებოდა, სომეხთა მთავრობა რომ აქ, ტფილისში რჩებოდესო. რად არის ასე მიმზიდველი ჩვენი დედაქალაქი სომეხთათვის? ამ კითხვის შესახებ ერთგვარ პასუხს ვპოულობთ „მშაკში" (№ 135).

„სომეხთა ეროვნულმა საბჭომ გადასწყვიტა, სომეხთა რესპუბლიკის მთავრობის შედგენის თანავე დაუყოვნებლივ ერევანს გადავიდეს".

სომეხთა მთავრობის შედგენის საკითხი ამდენად საშური არ იყო და ჩვენ იმ აზრისანი ვიყავით და ახლაც ვართ, რომ ვიდრე სტამბოლის კონფერენცია არ დამთავრდება, მთავრობის შედგენაში არ უნდა ავჩქარებულიყავით, უნდა დაგვეცადაო.

„მაგრამ, განაგრძობს გაზეთი, ქაჯაზნუნის სამინისტრო უკვე ფაქტია და ჩვენც იძულებულნი ვართ ამ ფაქტს შეურიგდეთო".

სომხური სამინისტროს არსებობას გაზეთი კი ურიგდება, მაგრამ ვერ ურიგდება მის ერევანში გადასახლებას:

„ხოლო მაინც გვგონია, რომ მთავრობა თუმც შედგა, მაგრამ ერევნისაკენ არ უნდა გაეშუროს, ვიდრე გზები არ გაიხსნება და სხვა ქვეყნებთან მისვლა-მოსვლა არ აღდგება".

რატომ? იმიტომ რომ:

„ქვეყნის ახლანდელ მძიმე ფინანსიურ და ეკონომიურ პირობებში, ახლა, როდესაც სომხის ერის ბედი მსოფლიოს ცენტრებში წყდება, როდესაც მთავრობის მთავარი ძალღონე მიმართული უნდა იყოს დიპლომატიური კავშირისა და მოლაპარაკებისაკენ, ჩვენ სამინისტროს ერევანში გადასახლება შეცდომად და საშიშროდაც კი მიგვაჩნია.

მეორეს მხრით, ჩვენა გვგონია, რომ ბატ. ქაჯაზნუნის სამინისტროს ერევანს გამგზავრების სახემ, ადერბეიჯანის დახმარებით, გზების საშიშროების გამო, ნდობა უნდა დაუკარგოს ამ მთავრობას პირველი ნაბიჯის გადადგმის თანავე, დასცეს მისი პრესტიჟი ჩვენი მეზობლებისა და გარეშე ძალთა თვალში.

ამიტომაო, დაასკვნის გაზეთი, მიზანისათვის უფრო შესაფერისი იქმნებოდა, რომ სამინისტრო აქ დარჩენილიყო და აქედან ცდილიყო, რომ დაეკმაყოფილებინა სომხეთის რესპუბლიკის ფინანსიური, ეკონომიური და სასურსათო მოთხოვნილებანი და თანაც კავშირი ჰქონოდა სხვა სახელმწიფოებთან რაიცა ერევნის ახლანდელ პირობებში შეუძლებელიაო. ადგილობრივ კი მორიგი საქმეების გაძღოლა ამ მთავრობას შეუძლია ადგილობრივი ორგანოების შეგწყობით, აი თუგინდ ერევნის ეროვნული საბჭოს საშუალებითაო.

მაგრამ სომეხთა ეროვნული საბჭოს დადგენილებით ერევანში მარტო სამინისტრო კი არა, არამედ ეროვნული საბჭოც უნდა გადავიდეს. ამის შესახებ „მშაკი" განაგრძობს:

„რაც შეეხება სომეხთა ეროვნული საბჭოს ერევანს წასვლას ჩვენ ვფიქრობთ, რომ გარდა იმისა, რაც ჩვენ უკვე მთავრობის შესახებ ვთქვით, სომეხთა ერთვნული საბჭოს ტფილისს განშორება ყოველ შემთხვევაში დროებითი უნდა იყოს".

ამისი მიზეზი ის არის რომ

„სომეხთა ეროვნული საბჭო წარმომადგენელია მთელი რუსეთის სომხობისა და გამომხატველია იმ მნიშვნელოვანი ფაქტისა, რომ სომხობა იმ პატარა რესპუბლიკით არ იფარგლება, რომელიც წარმოიშვა სომხის ერის ომში დამარცხების მიზეზით, რომ სომხობას ამ საზღვრების გარეთ მრავლად აქვს მსხვილი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ინტერესები, რომელთაც დამცველი უნდა ჰყავდესთ ისეთი დაწესებულების სახით, როგორიც არის სომეხთა ეროვნული საბჭო.

ამ მძიმე და კრიტიკულ დღეებში, როდესაც ეროვნებათა ბედი იქედგება, მთელ სომხის ერს უნდა ჰყავდეს წარმომადგენლობა, რომელიც მიმართულებას უნდა აძლევდეს სომხობის გაფანტულ სხვა და სხვა ნაწილებს.

ამ წარმომადგენლობით ორგანოს თავის რეზიდენცია შეუძლია ჰქონდეს და კიდევაც უნდა ჰქონდეს ისეთს ცენტრში, რომელსაც კავშირი აქვს სომხის ერის ყველა ნაწილთან, მეზობელ ერებთან და გარეშე ქვეყნის ძალებთან".

რადგანაც აქ საუბარია „მთელ სომხის ერზე" და „სომხის ერის ყველა ნაწილზე", შეიძლება კაცს ეფიქრა, რომ სომეხთა მთავრობის საუკეთესო სარეზიდენციო ცენტრი იქმნებოდა ცნობილი სომეხთა კულტურული კერა, წმ. ლაზარეს კუბძული ვენეციაში, საიდანაც შეეძლებოდა მას კავშირი ჰქონებოდა როგორც ძველი რუსეთის სომხობასთან, ისე სპარსეთ-ოსმალეთისთანაც, როგორც ევროპაში გაფანტულ სომხობასთან, ისე ამერიკელებთან, როგორც ეგვიპტელ სომხებთან, ისე ინდოელებთანაც, მაგრამ, როგორც სჩანს, წერილის ავტორს სახეში უნდა ჰქონდეს უმთავრესად „მთელი რუსეთის სომხობა". ამიტომ კაცი იფიქრებდა, რომ „მთელი რუსეთის სომხობის" წარმომადგენელთა სარეზიდენციო ცენტრად თუ მოსკოვი არა, დონის ნახიჩევანი გამოდგებოდა, რადგანაც იქედან კაცი უფრო ადვილად მისწვდებოდა „მთელ რუსეთში" გაფანტულ სომხებს როგორც ამიერკავკასიაში მცხოვრებთ, ისე პეტერბურგისა და მოსკოვის მოახალშენებსაც, როგორც ბესარაბლებს, ისე ყირიმლებსაც, როგორც აშტრახანელებს ისე ყიზლარლებსაც. მაგრამ არა! გაზეთის აზრით,

„ასეთი ცენტრია ტფილისი. ამიტომ უკეთუ საბჭოს გადაწყვეტილი აქვს მთავრობასთან ერთად ერევანს წავიდეს,—რასაც ჩვენ შემცდარ ნაბიჯად ვთვლით,—ამას იქით ყოველ შემთხვევაში ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ეროვნული საბჭო ჰშორდება ტფილისს დროებით და განსაკუთრებული მიზნით და დაუყონებლივ უნდა დაბრუნდეს აქ".

მთავრობაში.

მთავრობის სხდომაზე ივლისის 15-ს იუსტიციის მინისტრის მოხსენებით ახალი წესდების სასამართლოს შესახებ, დადგენილია მიღებულ იქმნას კანონ-პროექტი და გადაეცეს ეროვ. საბჭოს იურიდიულ კომისიას.

—

იუსტიციის მინისტრის მოხსენებით სამიწათ-მზომელო დაწესებულებების შესახებ მთავრობამ დაადგინა ეს დაწესებულებანი გადაეცეს მიწათ-მოქმედების სამინისტროს და მიწის მზომელი სასწავლებლები განათლების სამინისტროს.

—

ქვეშევრდომობის კანონის მიღებისთანავე ერ. საბჭოს საშანდატო კომისიამ ერ. საბჭოში შეიტანა კანონ-პროექტი ეროვნულ საბჭოს შემადგენლობაში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობის შესახებ. განზრახულია ერ. საბჭოში სომხების დაეთმოს 10 ადგილი, მაჰმადიანებს 4, რუსებს 3. ოსებს 2.

—

სამხედრო სამინისტრომ მოხსენება წარუდგინა მთავრობას სამხედრო სამმართველოს რეორგანიზაციის შესახებ.

სარჩევრეს ამგეგი

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

როგორც შეგატყობინეთ ივლისის 6-ს სრულიად გარეკეს მოთარეშეთა ბრბოები. ერთი მათი შტო დარჩა მხოლოდ სოფ. სავანეში, ამის შემდეგ ისინი პარტიზანულად თარეშობდნენ და განზრახული ჰქონდათ კიდევ ძალების შეკრება და საერთო იერიშის მოტანა, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს და ივლისის 8-ს სამშვიდობო დელეგაცია გამოგზავნეს, დელეგაციის მიზანი კი სულ სხვა ყოფილა მათ ეწადათ დრო მოეგოთ და შეტევისათვის მომზადებულიყვნენ. ჩვენი რაზმების უფროსი მედგრად დახვდა მათ, მიუხვდა ყველაფერს და ულტიმატუმი წარუდგინა, პასუხად იმათ კვლავ განაგრძეს ავაზაკური თარეში, მოთარეშეთ ბინა ქალა-ორღულში აქვთ.

მაგრამ იმედია ამ დღეებში ბოლო მოეღება მათ თარეშს. ძლიერი საერთო შეტევა მზადდება ამ დღეებში.

ეროვნული საგჭო

ივლისის 15 სხდომა.

თავმჯდომარეობა ნ. ჩხეიძე.

მდივანი კითხულობს დღიურ წესრიგს.

რ. გაბაშვილი მე მინდა მოგახსენოთ იმ პრესის შესახებ, რომელიც საქართველოში გამოდის „რუსულ ენაზე და მთავრობის და საქ. რესპუბლიკის წინააღმდეგ ილაშქრებს. ეი მაგალითად: დაშნაკცუტიუნის პარტიის ორ ფრთად არის გაყოფილი: მარცხენა ბაკოშია, მარჯვენა კი აქ — ტფილისში „ნაროდნაია სვობოდა“-მ ბაკოს ბოლშევიკურ გაზეთებიდან გადმობეჭდა რამდენიმე წერილი უკოშენტარიოთ და იზიარებს კიდეც იქ გამოთქმულს აზრს. ამითი ხელს უწყობენ ანარქიულ გამოსვლებს.

ხალხში ცნობილია რუსული გაზეთი „ბორბა“ როგორც მთავრობის გაზეთი შეუფერებელი წარწერა ჰქონდა „რუსეთის სოც. მუშათა პარტიისა“ და ახლა კი ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტისა“. ეს ერთიცა და მეორე წარწერაც უცხო სახელმწიფოს სახელია. შეუფერებელია მთავრობის გაზეთისთვის.

ორატორს გაზეთებიდან მოჰყავს სტატიები თავისი აზრის დასამტკიცებლად.

ნ. რამიშვილი. მოქალაქენო! შეკითხვა შემდეგს წარმოადგენს. იცის თუ არა მთავრობამ, რომ ცხარე აგიტაციას აწარმოებენ მთავრობის წინააღმდეგ. შეკითხვას ის აზრი ჰქონდა, რომ ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ აგიტაციას ეწევიან არც ერთი საბუთი შემკითხველს არ მოუყვანია.

მთავრობის წინააღმდეგ სწარმოებს აგიტაცია უცხო სახელმწიფოთა გაზეთებით. ქვეშევრომობის კანონი ჯერ არ შემუშავებულიყო და გაურკვეველი იყო, თუ ვინ არის უცხო ქვეშევრდომი.

მთავრობას, სრულიად შეუძლებლად მიჩნია რუსული გაზეთების წინააღმდეგ აგიტაციის გამო მიიღოს რაიმე საგანგებო ზომები. მთავრობის წინააღმდეგ რამდენიმე პარტია მოქმედობს თითონ ეროვნულ დემოკრატებიც. ჩვენი მთავრობა ვიწრო პარტიულ ხასიათს რომ ატარებდეს მაშინ სხვა იქნებოდა. მთავრობას თავისი ოფიციოზი არ მოეპოება. გამოვა ამ დღეებში. პრესაში ბევრი ცილისწამება, მთავრობას არა აქვს საშუალება დროზე გასცეს პასუხი ამ პარტიულს ცილისწამებას. მთავრობა ჰფიქრობს, რომ იგი მაღლა სდგას ცილისწამებაზე მთავრობამ მართლაც მიიღო ზომები ზოგიერთი გაზეთის წინააღმდეგ, რადგან ეს მიმართული იყო ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

ალ. წერეთელი. (ს. ფ.) მისასალმებელია ყოველი შეკითხვა, რომელსაც ბოლოთ აქვს. მთავრობის ყურადღება მიაქციოს ასეთ ბოროტ მოვლენას. როგორც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და შინაური წესიერების წინააღმდეგ არის მიმართული. ჩვენ გვინდოდა გვეფიქრნა, რომ ბ. შ. ქარუმიძის შეკითხვის იმ გაზეთების შესახებ რომლებიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ილაშქრებენ, კეთილი გულისთქმითაა გამოწვეული, მაგრამ ერთი გარემოება ძლიერ ეჭვს გვიბადებს, სახელდობრ ის, რომ ნაც. დემოკრატების ორგანო ხშირად საბუთებლობს ამ ჯურის გაზეთებში ქართულ პოლიტიკურ პარტიების საზიზღარი დახასიათებით და უკომენტარიოთ ბეჭდავს მას. მიუხედავათ იმისა [illegible] მაინც გვინდა შეგაჩერო თავ-

„რობის ყურადღება შემოტანილ შეკითხვებზე. შინაგან საქმეთა მინისტრმა სამართლიანად აღნიშნა რომ მთავრობა ასე საზღვრავს სხვა და სხვა გაზეთების გამოლაშქრებას: თუ ისინი საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ სწერენ, მათ მიმართ სასტიკი ზომები იქნება მიღებული, ხოლო თუ ისინი ჩვენი მთავრობის მოქმედებას კრიტიკულად ეხებიან, დემოკრატიულ სახელმწიფოს მთავრობას არ შეუძლია მათ საწინააღმდეგოთ სასტიკი რეპრესიები მიიღოს. სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქცია ჰფიქრობს რომ სასტიკი ზომები პირველ ყოვლისა იმ გაზეთების წინააღმდეგ უნდა იქნეს მიმართული, რომლებიც ჩვენ დამოუკიდებლობას ძირს უთხრიან, მაგრამ დღევანდელ პირობებში ძნელია საზღვარის გავლება, სად არის მთავრობის გინება და სად იწყება ჩვენი დამოუკიდებლობის გამასხარაევება. თუ კი ზოგიერთი გაზეთი კვლავად განაგრძობს დაახასიათოს ჩვენი მთავრობა, როგორც თავადებისა, ფაშებისა და ვინ იცის კიდევ ვის მოკავშირეზ, ცხადია ამით ბევრ გულუბრყვილო ადამიანს შეიყვანენ შეცდომაში და აფიქრებიებენ რომ ასეთი მთავრობა და მის მიერ შექმნილი დამოუკიდებლობაც დასაზიანებიაო. თუ კი მთავრობა მეამბოხეთა წინააღმდეგ სასტიკ რეპრესიებს მიმართავს, საჭიროა ამ მოვლენასაც მიექცეს ყურადღება და კანონიერების ფარგალში პასუხი ეოეთხოვოთ ცხადი და საზიზღარი ცილის წამებისათვის იმ გაზეთებს, რომელთაც ასეთი გამოლაშქრება ხელობათ გადაუქცევიათ. დიდი და წმინდა თავისუფლება-სიტყვის თავისუფლება. მაგრამ ამ თავისუფლებით სარგებლობაც დიდ რიგიანობას მოითხოვს, რომ პრესა ქორიკანაობისა და ცილისწამების ინდუო ქურქლად არ გახდეს. და თუ ეს რიგიანობა დავიწყებულია საჭიროა იგი კანონის მიერ ხაიცა იქნეს ძოგონებული.

ფაჩუაშვილი. გაუგებარია, რომ შეკითხვის ავტორებათ ნაც.-დემოკრატები არიან. აქ მათ მოიყვანეს „ერთობის“ სიტყვები, რომ პატარა ქოხიკებით და მცირე შენიშვნებით თავრობის წინააღმდეგ შესაძლებელია საქართველოს დამოუკიდებლობას საფრთხე მოელოდესო ეი სწორედ ასეთი სიტყვებით ნაციონალ-დემოკრატებს მივწერთოთ. განა ქუთაისის გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“ და „საქართველო“ თავის ყოველ დღიურ ფურცელზე ასე არ იქცევიან. ავტორს ამ გაზეთებიდან მოჰყავს ციტატები და ირონიულის კილოთი ახასიათებს ნაც. დემოკრატებს და მათს ორგანოებს პოლიტიკას. (დარბაზი სიცილად იქცევა და ორატორს სიტყვის გათავებისას ძეხვარე ტაშით აჯილდოებენ).

დ. ჩიქოვანი. ეწონებს მთავრობის მოქმედებას საგარეო პოლიტიკაში, ქოხტო-რევოლიუციონერების წინააღმდეგ კი თითქმის არაფერი გაკეთებულაო. ორსეითად რ. გაბაშვილის შეკითხვა მართალია, შეუძლებელია აბსოლიუტური თავისუფლება პრესისა დღევანდელს მდგომარეობაში. მთავრობასაც ორსებითად შეკითხვაზე პასუხი არ მიუცია. ფინეთის პარლამენტს ადარებს ჩვენს ეროვნულს საბჭოს და ჰშიშობს, როგორც იქ კონტრრევოლიუცია მოხდა, შესაძლებელია აქაც ნაციონალ-დემოკრატების მხრივ კონტრრევოლიუცია მოხდესო.

ინ. წერეთელი. მოქალაქენო! დარმუწნებული ვარ ხვალ გაზ. „საქართველოში“ გამოცხადებული იქნება, რომ ნაც.-დემ—ბმა აქ მორალური გამარჯვება მოიპოვეს, თუმცა ბათი დღევანდელი გამოსვლა ჩვეულებრივის დაძაბცხეთ თავდება. თქვენ ნაც.-დემოკ—ბო, მოიყვანეთ აზრი დაშნაკელებისა, სოც. რევოლიუციონერებისა, თქვენ კი რაღა აზრისა ბრძანდებით? ისინი არიან ნაციონალისტები ჩვენი პოლიტიკური მტრები, როდესაც ისინი იდეის ქურქში ეხვევიან და ჩვენ გვებრძვიან ჩვენც იდეურადვე ვებრძვით. მუსსავათელები და სხვა ნაციონალისტები აშკარად ამბობენ, რაცა სწადიანთ ამისთვის იგინი ნაკლებად საშიშნი არიან. ჩვენი ნაც.-დემოკრატები კი გულში სხვა ზრახვებს ატარებენ და სიტყვით სხვას ამბობენ. თქვენ ილაშქრებთ საქართველოს დემოკრატიზმისა და დამოუ-

კიდებლობის წინააღმდეგ. როდესაც ამას სჩადიხართ თქვენს თავს ბძლევთ ანგარიშს თუ არა? ყველა ჯურის ნაციონალისტებში თქვენა ხართ ყველაზე საშიშნი. ციხე შიგნიდან გატყდება. ყველა თქვენი სიტყვა „საქართველოში“, „თუ ამ ტრიბუნიდან წარმოთქმული არის საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართული. არც ერთი თქვენი გამოსვლა არ ყოფილა, რომ ეს გამცემლობა დამოუკიდებელი საქართველოსი არ ყოფილიყოს შიგ.

ჩვენ მხარს ვუჭერთ მთავრობას, როდესაც იგი პრესის თავისუფლებას იცავს. პოლიტიკურ მდგომარეობის განცლებას ხელს უშლის ის, რომ შეკითხვის ავტორებათ ნაც.-დემოკრატები გამოდიან.

„ბორბა“ არის ოფიციოზი არა მთავრობისა, არამედ საქართველოს ს.-დ-ბის პარტიისა და თუ უცბათ არ შესცვალა სახელი, ეს იმისთვის რომ საქართველოს დამოუკიდებლობას ყველაზე საშიში მტერი თქვენა ჰყევხართ პირველ ყოვლისა თქვენს წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ.

თქვენ ისეთს ცილსა სწამებთ ჩვენს პარტიას და ჩვენს გაზეთებს, რომ არ ვიცი რომელ მორალს და ეთიკას შეეფერება ეს? (მქუხარე ტაში).

ბ. ქიქოძე ვეთანხმები, პრესის შეზღუდვა შეუძლებელია. მხოლოდ ნორმალურ მდგომარეობაში პრინციპიალურად წინააღმდეგნი ხართ სიკვდილის დასჯისა, მაგრამ კი მიიღეთ. თუ თქვენ მომხრენი ხართ რეპრესიები იმ მაროთ ქართველ გლეხების წინააღმდეგ რატომ ასეთის რეპრესიებით არ გინდათ იმოქმედოთ იმათ წინააღმდეგ, რომელნიც ჩვენ შინაურ საქმეებში ერევიან,

თქვენ, სოც.-დემოკრატები რამდენიმე წელიწადი ებრძოდით საქართველოს ავტონომიას, დიდი ყოყმანის შემდეგ მიიღეთ და დამოუკიდებლობას დიდ უბედურებად სთვლიდით. ჩვენ გვიკვირდებთ საქართველოს გამცემლობას, ჩვენ, რომელნიც დამოუკიდებლობას ვეტრფოდით და მოღალატედ გვნათლავთ. ჩვენ არ ვითხოვდით ნაც. დემოკრატიულ მთავრობას, არამედ იმას რომ ერის ცოცხალი ელემენტები შესულიყვნენ მთავრობაში, მთავრობა პარტიული კი არ უნდა იყვეს. ჩვენ შევეცდებით ამას არა რევოლიუციონერის გზით, არამედ მთავრობის შეგნებით.

ნ. რამიშვილი. გ. ქიქოძე უსაბუთოდ აწერს მთავრობას ყალბ შეხედულებას. მთავრობა სრულიადაც არ უფრთხის გამოლაშქრებას გაზეთებისას.

მთავრობის ჯარის გამარჯვება არის ანარქიის მოსპობა და საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცება. „კაუკაზ. პოსტის“ შესახებ მთავრობა მოელაპარაკა გერმანელთა ეროვნულ საბჭოს, რომ არ მოხდეს განმეორება იმისა, რასაც სწერენ.

ინ. წერეთელი. რაკი მთავრობას არა ოფიციალური მოლაპარაკება ჰქონია გერმან. ეროვნულს საბჭოსთან „კაუკაზიზე პოსტის“ შესახებ კმაყოფილი ვარ.

ჩემს შეკითვაზე ნაც. დემოკრა—ბისადმი პასუხი არ მიმიღია, პასუხი არ მიმიღია აგრეთვე გამცემლობაზე. მე

მიპასუხეს, წარსულში როგორ იქცეოდა სოც.-დემოკრატიაც, მე ვკითხავ ნაც. დემ—ბს, რის შემდეგ გახდნენ ეგენი საქართველოს დამოუკიდებლობის მოტრფიალენი? მაშინ დამოუკიდებლობა ბედნიერება იყო თუ არა? გონებაში თქვენ სხვანი ხართ, როდესაც პარტია ერთს აცხადებს და გუნებაში მეორე აქვს ეს არის მოღალატეობა—(ტაში). თუ თქვენ სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ აწარმოებდით ბრძოლას, ასევე აწარმოებთ ეხლაც (ტაში). ჩვენსავით რაინდები ხომ არა ხართ, ეს გეპატიებათ (ტაში) ხელმეორედ გეკითხებით: დღევანდელ თქვენს გამოსვლას რა აზრი აქვს, გამცემლობა, თუ არა?

რ. გაბაშვილი სცდილობს უპასუხოს. მაგრამ მისი პასუხი ჩვეულებრივ პასუხი არ არის და მაინც ირ. წერეთელი არ დაუკმაყოფილებია.

ნ. დემოკრატები თვითი შეკითხვებით სასტიკად დამარცხდნენ. დამარცხდნენ ისე, რომ ვერც „ზნეობრივად“ და ვერც სხვა ნაირად დარჩნენ კმაყოფილი.

წინადადება შემოდის კამათი შესწყდეს. კამათი შეწყვეტილია და თავმჯდომარე კენჭს უყრის ს.-დ. რეზოლიუციას: ეროვნულმა საბჭომ მოისმინა მთავრობის პასუხი შემოტანილ შეკითხვაზე, დაკმაყოფილდა მით და გადადის მორიგ საკითხებზე“.

რეზოლიუცია მიღებულია (წინააღმდეგნი არიან ნ.-დეი.)

მეორე შეკითხვა იყო რ. ივანიცკისა ინგილოთა გაპირვებულს მდგომარეობის გამო. იგი თვის ვრცელ სიტყვაში დაწვრილებით ასწეოდა მთავრობის უძლურებასაც და ლეკებისაგან შეწუხებასაც.

ნ. რამიშვილი. მთავრობამ მიაქცია ყურადღება საინგილო გეოგრაფიულად და ისტორიულად საქართველოსთან დაკავშირებული იყო, სტრატეგიულის თვალსაზრისითაც საყურადღებოა, საგარეო მნიშვნელობაცა აქვს. ზაქათალის ოლქის დიდი ნაწილი ადერბეიჯანისკენ მიილტვის. საჭიროა მივანიჭოთ ფართო თვითმართველობა. ეს მთავრობის გადაწყვეტილებაა. საჭიროა საქმის აწონ-დაწონვა. საბოლოოდ კი სტ მბოლის კონფერენცია გადასწყვეტს ზაქათ. ოლქის საკითხს.

სხდომა გადაიდო შემდეგი დღისთვის.

ლტოლვილები

ხომეხთა ეროვნულ საბჭომ მთავრობას შეატყობინა, რომ საბჭო ყოველგვარ ზომებს იღებს ლტოლვილების უმტკივნეულოდ რუსეთის ტერიტორიაზე გადასახლებისათვის.

—

ხომეხთა ეროვნულ საბჭოს „ცარსკი კოლოდეცი“-დან „ატყობინებენ: ჩამოვიდა ლტოლვილთა პირველი პარტია 1000 კაცი. ქვემო და ზემო ქედის რაიონში დაბანაკდა 6000 ზემეტი ლტოლვილი.

მდ. ალაზნიდან ს. ქედამდე განუწყვეტლივ მოდიან ლტოლვილნი. გუბერნიის კომისარის განკარგულებით ჩამოსულ ლტოლვილებს 7 დღის განმავლობაში ტფილისისკენ გზავნიან.

ლტოლვილთა საერთო რიცხვი 20000 ადემატება, ალაზანზე გადასვლის დროს 500 ქალი და 6 ბავშვი დაიხრჩო. ლტოლვილები ბრძოლით მოიწევდნენ წინ, მიღებულ ზომების წყალობით ბრბო გაფანტეს. მეციხოვნე ჯარის უფროსის განკარგულებით ლტოლვილებს იარაღს ჰყრიან. ლტოლვილთა შორის ბევრი ავადმყოფი და დაჭრილი ქალი და ბავშვია. „ცარსკი კოლოდეც“-ში საჩქაროდ შესდგა ლტოლვილთა კომიტეტი. ლტოლვილთა მდგომარეობა ერთობ მძიმეა. საჭიროა სწრაფი დახმარება. აქ მხოლოდ ერთი ექიმია, არ არის არავითარი მედიკამენტები. ჩვენ ვერაფერს გავხდით ეხლავე გამოგზავნეთ სანიტარული რაზმი, მედიკამენტები და ფული.

ომის დეპეშები

დასავლეთის ფრონტი.

ბერლინი, ივლისის 15. საომარი ცნობა.

კრონპრინცი რუპრეხტის დაშეარი: იპრის სამხრეთ-დასავლეთით მტერმა საარტილერიო მზადების შემდეგ შემოგვიტია და ჩვენს ბანაკში შემოიჭრა დიდს მანძილზე. ლისის ორსავე ნაპირით მთელი დღის განმავლობაში საარტილერიო ბრძოლა იყო, რომელიც სადამოთი მთელ ფრონტზე გაძლიერდა.

გენერალ კრონპრინცის დაშეარი: ენსა და მარნას შუა ბრძოლა გაცხოველდა. ადგილობრივი ბრძოლაა სენტ-პიერ-ეგლის სამხრეთით და სავიერის რაიონში.

საჰაერო ბრძოლაში ლოვენჰარდტმა მე 36-ჯერ გაიმარჯვა.

იტალიის ფრონტი

ვენა, ივლისის 15. მთა-გორიან ფრონტზე არტილერია ენერგიულად მოქმედებს.

პალესტინის ფრონტი.

სტამბოლი. ივლისის 15. ზღვის სანაპიროთი ჩვენმა მძიმე არტილერიამ სროლა აუტეხა რენტეს სადგურს და ცეცხლში გახვია მტრის ბანაკი. ზღვის სანაპიროსა და რკ. გზის შუა რომ არის. იორდანეს დასავლეთით ივლისის 13-ს ღამით ჩვენ დავიპყარით მტრის პოზიციების ნაწილი და მიუხედავად მტრის მედგარი კონტრ-იერიშისა შევინარჩუნეთ იგი. აქ მტერი დიდად დაზიანდა. ამავე დროს იორდანეს აღმოსავლეთით შეუტიეთ და მტერს საშუალება მოუსპეთ წინააღმდეგობა გაეწია. მტრის კავალერიის ერთი დივიზია ჯავშნოსნების დახმარე ით შეგვებრძოლა, დივიზია მთლად გავანადგურეთ.

ფინანსების გარშემო

ერთდროული გადასახადი

ფინანსთა მინისტრის დავალებით საგადასახადო განყოფილება მასალების დაგროვებას შეუდგა, რათა შეიმუშავოს კანონპროექტი ერთდროული პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადისა.

შემოსავალი თამბაქოდან

ფინანსთა სამინისტრომ საუწყებო წესით მიიღო კანონპროექტი თამბაქოდან შემოსავლის გადიდების შესახებ. ამით მოსალოდნელია რესპუბლიკის შემოსავალთა წყაროს საგრძნობლად გადიდება. სხვათა შორის პროექტში განსახილველია გაყიდონ საზღვარ-გარეთ არა ნედლი თამბაქო, არამედ თამბაქოს ფაბრიკატები.

უცხოეთი

ალექსეევი და კალედინი

ლუგანო (იტალია), ივლისის 14. გაზეთი „სტამბა“ იუწყება, რომ კალედინისა და ალექსეევის ჯარები მოსკოვის გზაზეა უკვე. ეჭვობს—ისინი ვერ დაამარცხებენ საბჭოს ჯარებსო.

ყოფილი მინისტრი ტერეშჩენკო

სტოკჰოლმი. ივლისის 14. -რუსეთის შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრს ტერეშჩენკოს განზრახული ჰქონდა ლონდონს გამგზავრებულიყო, მაგრამ ინგლისის მთავრობა თანაგრძნობით არ შეხვდა ამას და ამის გამო ტერეშჩენკო ქრისტიანიაში დარჩა.

ციმბირში.

კოპენჰაგენი. ივლისის 14. ჩეხსლოვაკების ნაწილების წინამძღოლმა ციმბირში იაპონიას დახმარება სთხოვა, იაპონიამ უარით უპასუხა.

პარიზის დაცვა.

ჟენევა, ივლისის 14. პარიზის წარმომადგენლები პარლამენტში შეიკრიბნენ, სადაც ისინი გაეცნენ იმ ზომებს, რომელიც მიღებულია საციხო [illegible] დიპლომატიური შუამავლობა.

ბაკო. ივლისის 14. გაზეთი „ცენტრალ-ნიუსი“ იტყობინება: რუზველტმა წინადადება მისცა ვილსონს მომანდე დიპლომატიური წარმომადგენლობა ევროპაშია: რამდენადაც ვიცით ვილსონმა ეს წინადადება უარჰყო.

გემის დალუპვა.

კოპენჰაგენი. ივლისის 14. დანიის გემი „ქარლო“, როგორც ლონდონში მყოფი დანიის ელჩი იტყობინება, ატლანტის ოკეანეში დაიღუპა. გადაარჩინეს 11 კაცი. კაპიტანი, ორი შტურმანი და კომანდის 13 კაცი ჯერაც ვერ იპოვეს.

ინგლისის ჯარი მურმანში

რადიოთ ცნობები გადმოგვცეს (ჯერ შეუმოწმებელი), რომ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა კომისარიატმა მოსკოვში მოითხოვა დიდი-ბრიტანეთის წარმომადგენლებისაგან დაუყოვნებლივ გაიყვანეთ ინგლისის რაზმები მურმანიდანო.

კანონი

საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულოების და მომრიგებელ შუამავალთა ინსტიტუტის გაუქმებისა.

1, გაუქმებულ იქნეს ამ კანონის გამოქვეყნებისა—დღიდან: ა. ტფილისის და ქუთაისის საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულონი.

ბ) მომრიგებელ შუამავალი და მათ მოენეთა (თარჯიმანების) თანამდებობანი ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებსა და აგრეთვე ზაქათალის და სოხუმის ოლქებში.

2. აღნიშნულ საგლეხო (სასოფლო) საქმეთა საკრებულოების ყოველი წევრი და კანცელარიის მოსამსახურე, როგორც შტატისა ისე თავისუფალ დაქირავებული, მომრიგებელი შუამავალი და მისი მოენე დატოვებულ იქნეს შტატის გარეშე საერთო წესით.

3. ზემოაღნიშნულ მომრიგებელ შუამავალთა ყოველი საქმე დროებით გადაეცეს შესანახად სათანადო მაზრის კომისარს, ხოლო საგუბერნიო საგლეხო საკრებულოთა გუბერნიის კომისარს შემდეგში სათანადო დაწესებულებათათვის გადასაცემად.

—

შორაპნის მაზრის შავიქვის გადასახადის გადიდებისა მრეწველთა საბჭოს სასარგებლოდ.

1. შორაპნის მაზრის შავიქვის მრეწველთა საბჭოს მიეცეს უფლება, ვალის გადასახდელად გაადიდოს აწინდელი საფუთო გადასახადი ერთი კაპეიკით, და შემოიღოს ორი კაპეიკის მაგიერ სამი კაპეიკი იმ პირობით, რომ ეს გადიდებული გადასახადი დაწესდეს მხოლოდ ორას მილიონ ფუთ შავქვაზე.

2. ეს კანონი შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

—

საქართველოს სამხედრო გზის საგანგებო სადარაჯო რაზმისა.

1. საქართველოს სამხედრო გზაზე წესრიგის დასაცველად დროებით, სამი თვის ვადით, დაწესებულ იქმნეს საგანგებო სადარაჯო რაზმი თანახმად იმ შტატისა, რომელიც ამასთანავე დართულ ცალკე სიაში არის აღნიშნული.

2. ზემოაღნიშნულ სადარაჯო რაზმში სამსახური არავის ანთავისუფლებს სამხედრო სამსახურისაგან.

3. იმ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რომელიც ამ კანონის პირველ მუხლში არის აღნიშნული, გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან ორას ოთხმოცდა ოთხი ათას ხუთას ორმოცდა ათი მანეთი (284550) კრედიტი შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში.

4. ინსტრუქცია ამ რაზმის მოქმედებისა შემუშავებულ იქნეს შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრების შეთანხმებით.

5 ეს კანონი შედის ძალაში იმ დღიდან, როდესაც დამტკიცებულ იქნება საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ.

—

ეროვნულ საბჭოს კანცელარიის შტატებისა.

I. დამტკიცებულ და ამა 1918 წლის ივნისის პირველიდან განხორციელებულ იქნეს ამ კანონთა დარ-

თული საქართველოს ეროვნულ საბჭოს კანცელარიის შტატები.

II. გადაიდოს სახელმწიფო თანხიდან ამ კანონის პირველ მუხლში აღნიშნული შტატებისათვის სამას ორმოცდა ხუთმეტი ათას ორასი (355.200 მ.) შემდეგი განაწილებით: 1, მოსამსახურეთა ჯამაგირისათვის ას სამოცდა ხუთი ათას ორასი (165,200 მ.) 2. საფოსტო-სატელეგრაფო, სამეურნეო და სხვა მოულოდნელი ხარჯებისათვის ოცდა ხუთი ათასი (25,000 მ.) 3. გარეშე მოწვეულ პირთა გასამრჯელოსათვის ხუთი ათასი (5000 მ.) 4. მოსამსახურეთათვის სხვა და შემთხვევის გამო დახმარების გასაწევათ ხუთი ათასი (5000 მ.) 5. საბიბლიოთეკო ხარჯებისათვის ას ოცი ათასი (120,000 მ.) 6. სასტამბო ხარჯებისათვის ოცდა ხუთი ათასი (25,000 მ.) 7. საბჭოს წევრთა საგზაო და დღიურ ხარჯებისათვის, როცა საბჭოს დავალებით სადმე გაგზავნილ იქნებიან ათი ათასი (10,000 მანეთი).

—

რესპუბლიკის მთავრობის საქმეთა მართველობის შტატებისა.

1. დამტკიცდეს და ამა წლის პირველ ივნისიდან განხორციელდეს ამ კანონთან დართული რესპუბლიკის მთავრობის საქმეთა მართველობის შტატი.

2. გადაიდოს სახელმწიფო თანხიდან ამა კანონის 1-ლ მუხლში აღნიშნულ შტატის შესანახად ას შვიდ ათას ხუთას ორმოცდა ათი (107550 მ.) შემდეგის განაწილებით: 1. მოსამსახურეთა ჯამაგირისათვის ოთხმოცდა რვა ათას ხუთას ორმოცდა ათი (88550 მ.) 2. საკანცელარიო, საფოსტო-სატელეგრაფო, სატელეფონო და სხვა ამ გვარი ხარჯისათვის ათი ათასი (10000 მ.) 3. წიგნთსაცავისათვის ორი ათასი (2000 მ.)

—

საწარმომადგენლო ხარჯისა და მთავრობის წევრთა ჯამაგირისა.

1. რესპუბლიკის მინისტრებს და მათ შორის მთავრობის თავმჯდომარეს დაენიშნოს ჯამაგირად ათას ხუთასი (1500 მ.) თვეში თითოეულს, მინისტრის თანაშეშწეებს ათას სამას ორმოცდა ათი (1350 მ.) თითოეულს თვეში.

2. წარმომადგენლობის ხარჯად წლიურის ანგარიშით მთავრობის თავმჯდომარეს დაენიშნოს ხუთმეტი ათასი (15000 მ.) ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს ხუთმეტი ათასი (15000 მ.) სამხედრო მინისტრს ათი ათასი (10000 მ.) და საგარეო საქმეთა მინისტრს ათი ათასი (10000 მ.)

3. ყველა ეს ხარჯი გადებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინის თანხიდან და ამა 1918 წლის ივნისის პირველიდან.

სამსონ დადიანის სიტყვა

(ბათომის პარტიზანულ პოლკის ოფიცერის დ. გულისაშვილის საფლავზე)

მოკლე იქნება ჩემი სიტყვა ისე, როგორც მოკლე იყო შენი ლამაზი და თავგანწირული სიცოცხლე ძვირფასო დიმიტრი! ამ ერთი თვის წინად იქ, აწყვერის მიდამოებში, ჩიტის კიბის აბიბინებულ კალთებში შენებრ გმირი ჩვენი ამხანაგები რომ იმსხვერპლა მტრის ულმობელმა ტყვიამ, გახსოვს ძვირფასო, ჯგუფ-ჯგუფათ რომ თავი მოვიყარეთ და ეოთმახეთს უზიარებდით ჩვენს ტანჯვას, ჩვენს გულისწყრომას უდროო ხვის ჩამოგდებისა და იმ სამარცხვინო ხელშეკრულობის გამო, რომელიც გალალებულმა მტერმა თურმე ჩვენს ხალხს ეთახვია?

„ერთი კიდევ დაეცლიათ, ერთი კიდევ დაგვეკრა მტრისათვის, ცოტა კიდევ დაგვცლოდა თავიდან მოგვეხსნა ის სირცხვილი, რომელიო ხახა ჩვენმა ხალხმა ბათომში და ოზურგეთშიო“ შევჩივოდით ერთმანეთს და იქ ყველაზე მეტად, ყველაზე ცხოვლად შენ განიცდიდი ვაკაცურ ბრძოლის დაუკმაყოფილებელ ეინის გრძნობას.

„არა, ამ სამარცხვინო ზავს ვერ მიიღებს ქართველი ხალხიო“ გაიძახოდი შენ და ცეცხლით აგზნებულ თვალებით გასცქეროდი იმ მიდამოებს, რომელიც უნდა გადაგვეღახა ბრძოლით და მივშველებოდით ახალციხეში მოხწყვდეულს ჩვენს მოძმეებს.

მაისის 23-ს, შენი თანამებრძოლი ამხანაგებისათვის დაუვიწყარს დღეს, როდესაც პატარა რაზმი ჩვენი ტყვიის მფრქვეველებისა მტერმა ყოველ-

პრაპ. დიმიტრი გულისაშვილი

მხრიდან ცეცხლის ალში გახვია და იერიში იერიშზე მოჰქონდა, შენ უშიშრად იმ მტრისაკენ მიიბრძოდი და მის ტყვიას თავხედათ ეთამაშებოდი. შენ მტრისთვის ერთი ყუთიც ტყვიისა არ გინდოდა შეგენარჩენია, მიუხედავათ იმისა, რომ მტერი ოციოდე ნაბიჯიდან გვიშენდა, შენ იმ ყუთისკენ გასწიე, ამხანაგებიც გაიტაცე და ექიმდის არ მოისვენე, სანამ იგი არ გამოატაცებიე მტრის ცეცხლიდან.

შენ იქ მტრის ტყვიამაც დაგსუნთქა, თითქოს ეს საზარელი ყოფა გიწინასწარმეტყველაო, მაგრამ ბრძოლის ველი არ დაგდე, მაინც იცინოდი, მაინც კისკისობდი და ბრძოლის ბოლომდი ჭრილობაც კი არ შეგიხვევია.

მაგრამ იქ არ დაგცალდა ჩვენი განზრახვების ასრულება და ჩვენი ქვეყნის საჭიროებამ ახლა სულ სხვა კუთხეში გადაგტყორცნა შენი თანამებრძოლი ამხანაგებით.

შენ აქაც, საქართველოს გარშემო რკინის საღტით შემოგრაგნილს კავკასიონის ქედებში იგივე გმირული ცეცხლი გენთო გულში, რადგანაც აქაც შენს იდეალს, შენი სიცოცხლის მიზანს უქადდენ განადგურებას.

მე ვიცნობდი შენს სატრფოს, ვიცნობდი შენს ოცნებას. შენი სატრფო იყო შენი მრავალტანჯული სამშობლოს თავისუფლება, შენი ოცნება იყო შენი მშობელი ერის კეთილდღეობა და აი, ყოველივე ამას ემუქრებოდნენ ჩვენი ქვეყნის ნაძირალები და უცხო ტომის მტრები. შენ ხედავდი, თუ რაოდენი საშიშროება მოელოდა ჩვენს ნორჩს რესპუბლიკას იმ გადამთიელთაგან, იმ ანარქიისაგან რომელიც ჩვენს ქვეყანაში დაატრიალეს შინაურმა და გარეულმა მტრებმა შენ ვერ შეგეძლო გულგრილად დარჩენა, და გმირულად თავი შესწირე სამშობლოს და თავისუფლებას სამსხვერპლოზე დასწვი შენი ხანმოკლე, მაგრამ ლამაზი სიცოცხლე.

შესძლეს, ან შესძლებენ თუ არა ცოტათი მაინც შენი ანხახაგები იმ სირცხვილის მოხსნას, რომელიც აწყვერთან ჩვენ გვინდოდა ქართველი ხალხისთვის მოგვეხსნა, ამას მიუდგომელი ისტორია აღნიშნავს. ხოლო იმას, რომ შენ შენი გმირული სიკვდილათ ლაქა ლაჩრობისა ქართველს მეომარს მოსწმინდე, ამას მუხლმოდრეკით აღიარებს დღესვე მტერიცა და მოყვარეც.

ნახე ძვირფასო დიმიტრი, შესებრ გმირულად დაღუპულნი ჩვენი დაუვიწყარი ამხანაგები მელუა, შელეგია, ცხადაძე, კიკნაძე, ბუაჩიძე, ვაშაძე და სხვები და უთხარ, უთხარი, რომ მათს ანდერძს არ ღალატობენ მათი ანხანაგები და მათი მკლავი მანამ არ მოისვენებს, სანამ საქართველოს ბედი არ გამოიკვესება.

მშვიდობით ამხანაგო, ბათომის პარტიზანული პოლკი იმამაყებს შენით და შენი ამხანაგებიც ეცდებიან შენი თანამებრძოლის სახელის დირსნი იყვნენ.

ახალი ამბავი

◆ **მეურნეთა კავშირი.** შესდგა საქართველოს აგრონომთა, მეურნეთა, მებაღეთა და მიწისმფლობელთა კრება საქართველოს მეურნეთა კავშირის დაარსებისათვის. შეიმუშავეს და დაამტკიცეს კავშირის წესდება. კავშირის მიზანია სამეურნეო მრეწველობის განვითარება საქართველოში და მეურნეთა ინტერესების დაცვა.

◆ **ქალ. ხაბჭოს ხსდომა.** რომელიც ივლისის 15-სათვის იყო დანიშნული არ შესდგა.

სიმღერა

(მეგობარ მიტო გულისაშვილის ხსოვნას)

შენ სამშობლოსთვის გასწირე თავი,
წინ მოგიძღვოდა მაშვრალთა დროშა,
ძმავ, შენმა სისხლმა სულთამხუთავი
მტერი დაატკბო, შეაზარხოშა.
გმირული იყო სიკვდილი შენი,
არ დაგივიწყებს სამშობლო შვილსა,
ღირსება მოსილ ერის საშვენი
გვიტოვებ ხსოვნას ნეტარს და ტკბილსა.
შენ მოჰკვდი, მაგრამ ჩვენი სიმღერა,
გატარებს ქვეყნად ქვეყნისა აზრად,
შენი არ ხსოვნა და ბედის-წერა,
იქნება სოფელს ბოლოდ და საზღვრად!

1918—15 მკათათვე.

ი. მჭედლიშვილი.

◆ **კირიონ მე-II-ის დამკრძალავ კომიტეტის** კრება დანიშნულია დღეს, ივლისის 17-ს, საღამოს სრულ 7 საათზე კათალიკოსის სასახლეში. წევრებს სთხოვენ უსათუოდ დაესწრნენ. კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

◆ **ექიმთა და ბუნებისმეტყველთა კრება.** მორიგი კრება ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა საზოგადოების შესდგება დღეს, ოთხშაბათს $7^1/_2$ ს. ფრეიდინის ქუჩაზე № 11 დღიურ იწესრიგი: 1. მიმდინარე საკითხები, 2. გაგრძელება ექ. ვირსალაძის მოხსენების განხილვისა, 3. მოხსენება ექ. ა. მაღალაშვილისა: „როგორ უნდა მოეწყოს საექიმო-სასანიტარო საქმე საქართველოს ერობაში საზოგადოდ და კერძოდ გორის მაზრაში“ და 4. მოხსენება ჭ. ფ. ბუაჩიძის „საქართველოს მცენარეულობა“. გარეშე პირთაც შეუძლიანთ დაესწრონ.

◆ **„ჯეჯილი“.** რედაქციამ მიიღო ჟურნალ „ჯეჯილის“ მე-3 ნომერი. ჟურნალი ჩვეულებრივ სუფთად და ლამაზად არის გამოცემული.

◆ **შრომის ხაჭალაქო ბირჟა** სთხოვს შრომის ბიუროების წარმომადგენლებს დაესწრნონ კრებას რომელიც დანიშნულია ივლისის 18-ს საღ. 6 ს. შრომის ბირჟის ბინაზე (მადათოვის ქ. № 17)

◆ **უმაღლესი საკომერციო ინსტიტუტის დაარსება.** კოოპერაციის პროფესიონალურ კავშირების და მცოდნე პირთა ერთი ჯგუფი ტფილისში საკომერციო ინსტიტუტის დაარსების საქმეს შეუდგა. საინიციატივო ჯგუფს უკვე შეუგროვებია რამოდენიმე ათი ათასი მანეთი. როგორც ადმოჩნდა ასენებულ ინსტიტუტისათვის ტფილისში საკმაო სამეცნიერო ძალები მოიპოვება.

◆ **ერევნის რაიონში** ამ ჟამად სიმშვიდეა. შეტაკების დროს მოჰკლეს 6 სომეხი ოფიცერი, სამიც დასჭრეს, მოკლულია და დაჭრილი 100-ზდე ჯარისკაცი, ოსმალთა ზიანი უფრო მეტია.

◆ **საქონლის გაზიდვა საქართველოდან.** საქართველოს გაცვლა-გამოცვლის კომიტეტში დაადგინეს დააარსონ სტატისტიკური განყოფილება და შეადგინონ კომისია უწყებათა და მრეწველთა წარმომადგენლებისაგან, რომელიც გამოარკვევს, თუ რამდენია სხვა და სხვა საქონელი, საქართველოდან რომ შეიძლებოდეს მისი გატანა. კომიტეტმა პრინციპიალურად დაადგინა საქონლის გატანის ნება დართოს განსაკუთრებით იმ პირებს, რომელნიც თავის თავზე აიღებენ ვალდებულებას და გატანილ საქონლის ნაცვლად შემოიტანენ სურსათს, განსაკუთრებით პურს.

◆ **ხაზინის გაძარცვა.** ივლისის 13-ს ღამით საველე ხაზინის ყუთიდან უცხობმა ბოროტ განზრახველებმა გაიტაცეს 119000 მანეთი. დაიჭირეს 4 დარაჯი.

◆ **ხოლერა.** უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ქალაქის საავადმყოფოში 33 ხოლერით ავადმყოფი მოიყვანეს და 15 საეჭვო. იმავე ხანში საავადმყოფოში ხოლერით ავადმყოფათ იცხეს 23 კაცი: ხოლერით გარდაიცვალა 30 ავადმყოფი, მორჩა 9

◆ **სამხედრო ხახურხათო მართველობა** და სამოქალაქო უწყების სამედიკო ნაწილის მართველობა კავკასიაში გააუქმეს, მათ ნაცვლად არსდება მედიკურ-სანიტარული განყოფილება.

◆ **ზუგდიდის მაზრაში,** როგორც ზუგდიდიდან ჩამოსულებმა გადმოგვცეს, სოფ. ახუთს ივლისის 11-ს დასცემიან ბოლშევიკები. აუყრიათ იარაღი და 12 კაცი ტყვედ წაუყვანიათ. სოფ. გულის-კარში დაუწვავთ ორი მილიციონერის სახლი. საერთოდ ზუგდიდის მაზრაში ძლიერ თავაშვებულნი არიან ხულიგანთა ბრბოები.

◆ **სომხეთის მთავრობა და ეროვნ. საბჭო** ივლისის 16 ერევანში გაემგზავრა.

◆ **რკ. გზის მოხამსახურეთა ყრილობა.** უახლოეს დროში შესდგება საქართველოს რკინის გზის მოსამსახურეების ყრილობა.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფის კომისარმა** შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე: საიდანაც ხოფში დღითი-დღე ელიან ბოლშევიკების გამოსვლას, ხოფის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება გადატანილ იქმნას უშიშარ ადგილას, ან მიღებულ იქმნას ზომები სახელმწიფო ქონებისა და მოსამსახურეების დასაცავად.

◆ **კიევის უმაღლესი კომერციული ინსტიტუტი** დაასრულეს შემდეგმა პირებმა: ერმ. გაბიასმა, გრიგ. გიორგაძემ, კირ. წიქვაძემ, სილ. მახვილაძემ, ბიქ. სვანიძემ.

◆ **კიტა აბაშიძის ფონდი.** ჩვენი სასიქადულო ქართველი პუბლიცისტის კრიტიკოსის **კიტა აბაშიძის** სახელო. პის სტიპენდიისათვის ქართულ უნივერსიტეტთან დასაარსებლად ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალში შეგროვილი ფული (182 მან.) ას ოთხმოცდა ორი მანეთი შემომწირველთა სია:

1. ვ. ლორთქიფანიძე 15 მ. 2. მ. ალავიძე 15 მ. 3. დ. ფანცხავა 25 მ. 4. ლ. ნაზაროვი 15 მ. 5. ა. რელიგიონი 15 მ. 6. ე. პოლტარაცკი 10 მ. 7. ვ. გრეიცი 10 მ. 8. ა. ხინუა 10 მ. 9. ვ. გაბუნია 10 მ. 10. ა. ამბუკაძე 15 მ. 11. პ. წივწივაძე 15 მ. 12. მ. ანთაძე 10 მ. 13. თ. ჩილინგაროვა 5. 14. ვ. კოსტავა 5 მ. 15 ნ. სირბილაძე 5 მ. 16. მ. მხეიძე 2 მ.

სოფლად და ქალაქად

თ ე ლ ა ვ ი

◆ ხუთშაბათს ივლისის 18-ს პ. კორიშელის, ვ. გარრიკის, კ. ჭელიძის მონაწილეობით და ადგილობრივ სცენის მოყვარეთა დახმარებით იდგმება შილლერის „ყაჩადები“.

ფ ო თ ი.

◆ სოც. ფედ. ორგანიზაციის ფინჯანი ჩაი რამდენიმე დღე ბუშაობდა საქველმოქმედო მიზნისათვის. როგორც წარმოდგენილი ანგარიშიდან აღმოჩნდა ფულად შემოსულა 7695 მან. 90 კ., ხოლო ხარჯი ყოფილა 5090 მ. 25 კ., წმინდა შემოსავალი დარჩენილა 2605 მან. 65 კ. ეს თანხა კომიტეტმა და გამგეობამ დაამტკიცა და შეთანხმებით დადგინა (თანხა) სრულიად გადაეცეს ქ-ნ კ. მამლაძეს (გამგეობის წევრს) გადასაცემად: გურიის დამხმარე სამაზრო კომიტეტს—1000 მან. ფოთში ქალაქის პავილონში ცეცხლის დროს დაზარალებულ ოჯახს 605 მან. 65 კ. და ოზურგეთში ერთ-ერთ დარიბ ოჯახის სასარგებლოდ, რომელიც ოსმალოების შემოსევის დროს განადგურდა, 1000 მან.

◆ ივლისის 9-ს ბოროტმა პირებმა გაძარცვეს ვაჭრები და დაუმსხვრიეს დუქნები ბაზრის მოედანზე: ფ. მ—ას და მ. ხ—ს. ივლისის 6-ს გურიის ქუჩაზე გერმანიის კონსულის სასახლის მახლობლად გაძარცვეს ლტოლვილი ბერძნები და სხ.

◆ განთავისუფლებულია თანამდებობიდან, თანახმად მისივე თხოვნისა გამგეობის წევრი გ. ხოფერია და მილიციის უფროსი ბ. გ. ჩაჩრა.

◆ ივლისის 9-ს ადგილობრი თეატრ „კომედია“-ში გაიმართა ძუკუ ლოლუას კონცერტი. კონცერტის დაწყებამდე მოხსენება წაიკითხა მომენტზე შოთა დადიანმა. მოხსენება ძლიერ შინაარსიანი გამოდგა და ორატორი ძლიერი ტაშის ცემით დააჯილდოვეს კონცერტი შესდგებოდა 3 განყოფილებიდან. მშვენივრად შეასრულეს მომღერალებმა მეგრული სიმღერები. მომღერალნი სვეულებრივ ტანისამოსში იყვნენ, მაგრამ მაინც მათმა სიმღერა-ცეკვამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა და ხალხი ძლიერ ნასიამოვნები დაიშალა.

როგორც „სახალხო საქმის“ 28 ივნისის ნომერში იყო აღნიშნული, ქალაქის გამგეობის წევრი მ. ესაკია თავის თანამდებობას თავს ანებებსო. სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის ადგილობრივმა კომიტეტმა თხოვნით მიმართა მას, რომ სამსახურისთვის თავი არ დაენებებინა, ვინაიდან ისედაც გართულებულ, არეულ-დარეულ და აწიოკებულ ქალაქის საქმეებს სჭირდება ისეთი ენერგიული და მუშაკი, როგორიც არის მ. ესაკიაო. მ. ესაკიამ თხოვნა მიიღო და დარჩა თავის თანამდებობაზე.

სოც. დემ. განზრახული აქვთ გამგეობის წევრად მოიწვიონ ბათომის გამგეობის წევრი მგელაძე, ქალიქის თავად კი კ. საბახტარაშვილი.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში.

ტფილისის საქალ. კომიტეტის კრება დანიშნულია ოთხშაბათს. ივლისის 17-ს საღამოს სრულ 7 საათზე (ახალი დროით). განხილველია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები-

ყველა წევრს ევალება აუცილებლივ დაესწროს კრებას.

კუკიის კომიტეტის წევრთა კრება დანიშნულია ხუთშაბათს ივლისის 18-ს საღამოს 7 საათ. (ახ. დრ.) პარტიულ მთავარ ბინაზე, წევრებს ევალებათ დანიშნულ დროზე გამოცხადნენ.

—

ოთხშაბათს, ივლისის 17-ს პარტიულ ბიუროში საღამოს 7 საათზე (ახალი დროით) დანიშნულია კახეთის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა სოც.-ფედ. პარტიის წევრთა კრება.

ამხანაგებს ვთხოვთ არ დაიგვიანონ.

—

ხვალ, ოთხშაბათს, ივლისის 17, პარტიულ კლუბში დანიშნულია მორიგი პარტიული კრება. იქნება კამათი თედო ღლონტის მოხსენების შესახებ „როგორ უნდა გადაწყდეს დღეს მიწის საკითხი“? დასაწყისი საღ. 8 საათზე.

წერილი სოლეგის ნაციონალიზაციის შესახებ

ქართველი ერი 117 წლის განმავლობაში განიცდიდა სულიერ ტრაღიზმს; მის გონებაში სწარმოებდა მუდმივი ბრძოლა, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდი ვერ ჰპოებდა თავის გამოსავალს. მაგრამ, დღეს პირობები არსებითად შეიცვალა, ქართველ ერს შეძლება მიეცა ცხოვრების ყოველ დარგში წმინდა ეროვნული პოლიტიკის წარმოებისა.

უკვე ყოველ სამინისტროში მიღებულია რადიკალური ზომები ნაციონალიზაციისა. აშკარაა, თუ სახელმწიფოში სწავლა-განათლების საქმე რიგიანადაა დაყენებული, მაშინ ასეთი სახელმწიფო ყოველ-ხრივ უზრუნველყოფილია. ამიტომ ჩვენ უნდა ვეცადოთ ყოველი ღონისძიებით რაც შეიძლება მალე შევქმნით ეროვნული სკოლები, საიდანაც გამოვლენ ნამდვილი ქართველი მოქალაქენი და ამისათვისაკი საჭიროა დაუყონებლივ იქმნას გატარებული სრული ნაციონალიზაცია ყველა ტიპის სასწავლებლებში.

რასიკვირველია, მარტო ნაციონალიზაციით, ე. ი. ყველა საგნების სამშობლო ენაზე სწავლებით არ გაიმიჯნება ეროვნული სკოლა, ამისათვის საჭიროა ძირითადი ცვლილებათა შეტანა თვით პროგრამებში, მაგრამ, სწორედ ამ ნაციონალიზაციის შემოღებით იქნება გადადგმული პირველი ნაბიჯი ეროვნული სკოლების შექმნისაკენ.

მე ხშირად მსმენია, როგორც კერძო მუსაიფში—ისე მასწავლებელთა კრებებზეც ზოგიერთ პირთაგან, რომ სკოლების სრული ნაციონალიზაცია მომავალი სასწავლო წლიდან შეუძლებელიაო და განსაკუთრებით შეუძლებლად მიაჩნიათ ეს საშუალო სასწავლებლებისთვის. მე მინდა ჩემს წერილში მივაქციო მკითხველთა ყურადღება, თუ რამდენად სამართლიანია ეს მოსაზრება. განვიხილოთ ტიპების მიხედვით.

პირველ დაწყებით სასწავლებლებში ნაციონალიზაციის საკითხი შედარებით ადვილად ადგილ-ადგილ, რადგან ერ ერი ეროვ. ეროვ. ეროვ.

და 6 საქალებო გიმნაზიებში არის სულ 3004 ქართველი მოსწავლე ახალგაზდობა. ისინი განაწილდებიან შემდეგნაირად:

სავაჟო გიმნაზიებში არის 1625 მოწაფე და საქალებოში კი 1379. სხვათა შორის მარტო ქართულ სავაჟო გიმნაზიაში არის 836 მოწ. და დანარჩენებში კი 789; ქართულ საქალებო გიმნაზიაში არის 350 მოწაფე და დანარჩენებში კი 1029.

როგორც ზევითა ვსთქვით ტფილისის სავაჟო გიმნაზიებში ყოფილა სულ 1625 ქართველი მოწაფე. ასეთი რიცხვისთვის სრულიად საკმარისია მთავრობამ გახსნას 4 ერთ კომპლექტიანი სასწავლებელი. შეიძლება ეს რიცხვი, 1625 მოწ., მოთავსდეს ორ გიმნაზიაშიც, როგორც მაგალითათ, ახლა არის ქართული სავაჟო გიმნაზია (836 მოწ.), მაგრამ ჩემის აზრით, სასურველია ნაკლებ რიცხოვან გიმნაზიების გახსნა და ამიტომ 1625 მოწაფეს მოუნდება 4 ერთკომპლექტიანი გიმნაზია.

ახლა განვიხილოთ იქნება თუ არა ტფილისში ქართველ მასწავლებელთა საკმარისი რიცხვი ამ 4 სავაჟო გიმნაზიისათვის.

ზემოხსენებულ სავაჟო სასწავლებლებში თუ მათ მიუმატებთ კიდევ სამასწავლებლო ინსტიტუტს არის სულ 84 ქართველი მასწავლებელი. მათში 37 მასწავლებელი არის ქართულ სავაჟო გიმნაზიაში და 47-კი დანარჩენებში. ეს რიცხვი (84) ქართველ მასწავლებელთა საკმარისი იქნება 4 ერთ კომპლექტიან გიმნაზიისათვის. ამის დასამტკიცებლად შეგვიძლიან შევმართოთ იმავე ქართულ სავაჟო გიმნაზიას, სადაც 37 მასწავლებელი საკმარისია ორ კომპლექტიან (836 მოწ.) და მაშასადამე ფაქტიურად ორი გიმნაზიისათვის.

თუ ეს ასეა, 84 ქართველი მასწავლებელი სრულიად საკმარისი იქნება 4 ერთ კომპლექტიან გიმნაზიისათვის. გამოდის, რომ საქმე არც ისე ცუდად ყოფილა ზოგიერთებს რომ გგონიათ.

მე აქ მხედველობაში მაქვს მარტო მთავრობის გიმნაზიები, რაც შეეხება კერძო გიმნაზიებს—ეს მათი პატრონების საქმეა: მათაც შეუძლიათ თუ შეთანხმდებიან ერთმანეთში მოახდინონ გადაჯგუფება, როგორც მოწაფეებისა ისე მასწავლებლებისა და რამდენიმე კერძო გიმნაზიიდან მიიღონ ერთი, ან ორი კერძო ქართული გიმნაზია. ეს მთავრობას არ ეხება. ოღონდ თუ რომელიმე კერძო გიმნაზია მოითხოვს მთავრობისგან დახმარებას, იმ შემთხვევაში ასეთ სასწავლებლებში უეჭველად უნდა იყოს სრული ნაციონალიზაცია გატარებული, წინააღმდეგ მათ არ ექნებათ არავითარი უფლება იქონიონ რაიმე იმედი დახმარებისა ჩვენი მთავრობისაგან.

ახლა გადავიდეთ მთავრობის საქალებო გიმნაზიებზე. მოწაფეთა რიცხვი საქალებო გიმნაზიებში არის 1379. ამათში 350 ქართულ საქალებო გიმნაზიაშია და 1029 დანარჩენებში. 1376 მოწაფისთვის საკმარისი იქნება 3 ერთ კომპლექტიანი გიმნაზია, რომლებისთვისაც მოგვიპოვება საკმაო რიცხვი მასწავლებლებისა.

ზემო ჩამოთვლილ საქალებო გიმნაზიებში ქართველ მასწავლებელთა რიცხვი არის 62, მათში 15 ქართულ საქალებო გიმნაზიაშია და 47-კი დანარჩენებში. 62 მასწავლებელი-კი სრული საკმარისი იქნება 3 გიმნაზიისათვის. ამის დასამტკიცებლად მივმართოთ ქართულ საქალებო გიმნაზიას (350 მოწ.) რომელსაც 15 მასწავლებელი ყოფნის. ჩვენი გიმნაზიები იქნებიან ერთ კომპლექტიანი, ანუ რომ დაახლოვებით თვითოეულ მათგანს 20 მასწავლებელი ეყოფა.

სხვათა შორის, საქალებო გიმნაზიებში, მოსამსახურეთა გადათვალიერების დროს, ჩემი ყურადღება მიიქცია წმიდა ნინოს სასწავლებელმა (692 ძოწაფეთა) თავისი მასწავლებელთა აუარებელი რიცხვით. ამ სასწავლებელში 81 მასწავლებელია და თუ ჩვენ მომავალ სკოლებისათვის ასეთი აოა საჭირო რიცხვი მასწავლებლებისა ვეძიეთ—რასაკვირველია ვერ მოვსძებნით. მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ ამ სასწავლებელში ბევრი მოსამსახურეთაგანი მეტი ბარგია და ჩვენ სკოლას ისინი არ დასჭირდებიან.

მაშასადამე. ჩემის გამოანგარიშებით, მომავალ სასწავლო წლიდან ტფილისში უნდა დაარსდეს მთავრობის 4 სავაჟო და 3 საქალებო ქართული გიმნაზია.

როგორც ვარწმუნდებით ზემოდ მოყვანილ ციფრებიდან, ტფილისში ეოფილა საკმაო რიცხვი ქართველ მასწავლებელთა, ოღონდ საჭიროა ამ ძალების ამოძრავება. სანუგეშოდ, აქვე უნდა ვსთქვათ, რომ ქართველ მასწავლებელთა რიცხვი კიდევ გადიდება მათ, რომ ჩვენები ბევრი მსახურობდა ჩრდილოეთ კავკასიისა, და არარატისა და ადერბეიჯანის რესპუბლიკის გიმნაზიებში, რომლებიც ახლი თავის ქვეყანას მოაშურებენ. მაგრამ როგორც ზევითა ვსთქვით, ნაციონალიზაციისთვის არ არის საკმარისი მარტო რიცხვი მასწავლებლებისა, საჭიროა აგრეთვე მათი სათანადო მომზადებაც.

რაც შეეხება უკანასკნელს, მე მგონია, რომ არც ერთ ქართველ ინტელიგენტს არ უნდა სჭიროდეს ზევიდან ჩაძახება; მან კირგად უნდა გაითვალისწინოს არსებული პირობები და თუ რაიმე ნაკლი აქვს, დაუყონებლივ უნდა შეივსოს. მხოლოდ, სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნო ჩვენი დაუდევრობა ყველაფერში, რომ სანამ მომხდარ ფაქტის წინაშე არ დაგვაყენებენ მანამ არაფერს ვეცდებით.

ნათქვამია, ქართველი კაცი ვალს არ გადაიხდის, სანამ ვექსილს კარზე არ მიაყენებენო და სწორედ აქაც ასეთსავე მოვლენას ვხედავთ. ხშირად მესმის, რომ ნაციონალიზაციისთვის მასწავლებლები არ არიან მზათო. მერე ვისი ბრალია თუ არ არიან მზათ!

ნაციონალიზაცია მიღებული იყო შარშან მასწავლებელთა საერთო ყრილობაზე პრინციპიალურად და სასწავლო კომისარიატის მიერ დაკანონებული და დაბალ კლასებში შემოიღეს კიდეც, ასე რომ ჩვენს მასწავლებლებს ერთი წელიწადი ჰქონდათ თავის განკარგულებაში. მაგრამ, როგორც ეტყობა, ზოგიერთებმა არ ისარგებლეს ამ დროით გაიძახიან მზათ არა ვართო. სწორედ ასეთი ადამიანები ვერ იხდიან თავის ვალს. თუ ვექსილი არ წარუდგინეს. ამიტომ, ჩემის აზრით, სახალხო განათლების მინისტრმა დაუყონებლივ უნდა გამოსცეს კანონი ყველა ტიპის სკოლების სრული ნაციონალიზაციისა.

სანამ ჯერ კიდევ კანიკულები დაგვრჩა, რომლის განმავლობაშიც შეიძლება მასწავლებლები ცოტად თუ ბევრად მოემზადონ. მოზადების საქმე ცოტათი ადვილდება მით, რომ ამ დღეებში ტფილისში არსდება სამასწავლებლო კურსები, მაგრამ ესეც რომ არ იყოს, ყოველი ჩვენთაგანი ვალდებულია დაუყონებლივ შეუდგეს მუშაობას და შეივსოს თვისი ნაკლი. მასწავლებლებს გარდა საჭიროა აგრეთვე საკმაო რიცხვი სახელმძღვანელოებისა და მასთან მოწაფეების სათანადო მომზადებაც. რაც შეეხება სახელმძღვანელოებს, ბევრი უკვე გამოვიდა, ბევრიც მზადდება, ასე რომ მომავალი სასწავლო წლიდან შეიძლება მხოლოდ ზოგიერთი საგნებში არ იქნეს სახელმძღვანელო და აქ დასჭირდება მასწავლებლებს მეტი მუშაობა, მაგრამ ამას არ უნდა შეუშინდეთ. წარსულ სასწავლო წელში ქართულ გიმნაზიებში სწარმოებდა ყველა კლასებში საგნების სამშობლო ენაზე სწავლება და ამის მიუხედავად რომ სახელმძღვანელოები არ იყო, შედეგი სხვა გიმნაზიებზე ნაკლები არა ყოფილა.

„თუ გული გულობს ქადა ორივე ხელით იქმებაო“, ნათქვამია და მეც ასე მგონია, თუ მასწავლებლები მოვინდომებთ ამ ნაციონალიზაციის გატარებას—შევასრულებთ კიდეც.

აქ გვხვდება კიდევ ერთი დაბრკოლება, რომელსაც უეჭველად ანგარიუნდა გაუწიოთ—ეს მოწაფეთა მოუმზადებლობაა. მაგრამ აქაც სათანადოთ მომზადებული და საქმით დაინტერესებული მასწავლებელი გააწყობს რასმე. მაგალითად, ჩემის აზრით, თუ გადაჯგუფების დროს, აღმოჩნდა რომელიმე კლასი მეტად სუსტი ქართულ ენაში, ასეთი კლასისთვის შეიძლება დაინიშნოს განსაკუთრებული მეცადინეობა ქართულ ენაში და თუ ამანაც ვერ უშველა, მაშინ მე მომხრე ვიქნები ასეთი სუსტი კლასები ერთი წლით შევაჩეროთ, ე. ი. კლასიდან კლასში გადაყვანა პირველ წელს არ მოვახდინოთ.

ეს უკანასკნელი მოითხოვს ერთნაირ მსხვერპლს მოწაფეებისაგან, მაგრამ, შედარებით იმ დიდ საქმესთან რომელსაც ჩვენ ვემსახურებით—ის არარაობათ უნდა ჩაითვალოს, რასაც მე მგონია, ჩვენი ახალგაზდობაც შეგვნებულად შეხვდება.

ჩვენ გვავიწყდება, რომ ახალგაზდობას ვამზადებთ ქართულ უნივერსიტეტში შესასვლელად და მასთან საქართველოს რესპუბლიკისთვის და აბა მითხარით ან პირველი ან მეორესათვის ივარგებს ახლანდელ სკოლებ დამთავრებული ახალგაზდობის უმრავლესობა?!.. არა.... მაშ, რათ გვინდა სკოლების დამთავრება, თუ ის არ მოგვცემს სათანადო ნაყოფს!... რათ გვინდა სკოლა თუ ის არ მოგვცემს საქართველოს რესპუბლიკისათვის მომზადებულ მოქალაქეს!.. რომელი მშობლის ინტერესი მოითხოვს, რომ მისმა შვილმა გიმნაზია გაათავოს და უბრალო სამსახურში-კი ვერ ჩადგეს!.. ჩვენ დაწესებულებებში ხომ ყველგან ქართული ენა იქნება გამეფებული!... და, აი, სწორედ ეს არის საჭირო გაურკვევლობა, როგორც მშობლებს—ისე მოწაფეებს, რომ რაც უფრო ადრე შემოვიღებთ ქართულად სწავლას, მით უფრო ჩვენი ახალი თაობა მომზადებული იქნება ახალი ცხოვრებისათვის.

ჩვენ ყველგან გვესმის პრინციპიალური თანხმობა ამ ნაციონალიზაციისა, მხოლოდ ზოგიერთებს ნაადრევად მიაჩნიათ. ჩემის აზრით მეტი მოცდა—დიდი ცოდვა იქნება მომავალ თაობის წინაშე, რომლისთვისაც პასუხის მგებელი იქნება მხოლოდ მასწავლებლობა ამით ვათავებ ჩემს წერილს და ვიტყვი დასასრულ, რომ დაუყონებლივ უნდა იქმნას შედგენილი სამინისტოსთან ტეხნიკური კომისია, რომელიც მოაწესრიგებს საჭირო გადაჯგუფებას ამით-კი იქნება გადადგმული პირველი ნაბიჯი ნაციონალიზაციისაკენ. ლოდინი აღარ შეიძლება....

მასწ. გრ. ლორთქიფანიძე.

ქართულ-გერმანული საზოგადოება

ქართულ-გერმანულ საზოგადოების დამაარსებელი საინიციატივო ჯგუფი ამით აცნობებს გერმანიაში განათლება მიღებულ ქართველთ, საქართველოსთან დამოკიდებულებაში მყოფ გერმანელთ და ასეთი საზოგადოების დაარსების ყველა თანამგრძნობთ, რომ ხსენებულ საზოგადოების პირველი სხდომა იქნება კვირას, ივლისის 21-ს დილის 11 საათზე, ფრეიდანის ქ. № 11, (ყოფილი ბინა ეროვნულ საბჭოსი).

ტიტე მარგველაშვილი, არტურ ლაისტი, ბ. ბაბავა, გ. ქიქოძე, გრ. ვეშაპელი, ან. ასათიანი.

ნაციონალიზაცია თელავში

სასწავლებლებში

ჯერ ისევ შარშან პირველ დაწყებით სასწავლებლებში შემოიღეს სამშობლო ენაზე სწავლება, მხოლოდ წარსულ გაზაფხულზე საშუალო სასწავლებლებშიაც დაადგინეს უფროს კლასების ნაციონალიზაცია. რასაკვირველია დადგენილება ძრიელ ადვილია ვიდრე ცხოვრებაში გატარება და თუ მივიღეთ მხედველობაში ჩვენი სკოლის დანგრეული საძირკველი და მასწავლებელთა უმრავლესობის გადაგვარება, ხელი კედლების აშენება არც ისეთი ადვილი საქმეა. მაგრამ ცდას და მუყაითობას ბევრი რამ შეუძლიან და ჩვენ მასწავლებლებს რომ ეხლავე დაეჭირათ თადარიგი, სიძნელეს ადვილად ეიცდენდნენ.

არავისთვის დასამალი არაა, რომ ჩვენი მასწავლებლობის დიდი უმრავლესობა აღზრდილია ყალბ საფუძველზე. იგი შეჩვეულია რუსულად ფიქრს, რუსულ აზროვნებას და ასევე ლაპარაკობს და შეიძლებოდა ამის თავიდან აცდენა, რომ ამ ზაფხულით ესარგებლათ, შეკრებილიყვნენ, მოეწყოთ კურსები, კითხვა გარჩევა, სამოქმედო გეგმის შედგენა, რომ სექტემბერში ადვილად მისულიყვნენ სკოლაში თორემ სულ ცენტრისკენ ყურება და ძმა-ძმარეულად ბილებულ მასალასაც ბომ შემოშავება უნდა და სხვა არა იყოს რა ამისთვისაც კი თადარიგი საჭირო...

საბავშო ბაღი.

მკითხველს უეჭველია ეგონება, რომ ეს საბავშო ბაღი ქართულად იქნებოდა მოწყობილი, რომ მით პირველშივე მტკიცე ეროვნული საფუძველი დასდებოდა ჩვენი ახალგაზდობის სწავლა-აღზდის საქმეს, მაგრამ არა, ჩემო მკითხველო: გაგიკვარდებათ მაგრამ ფაქტია რომ იგი მოსულ მასწავლებლებმა მოაწყეს, მხოლოდ ჩვენი საზოგადოება ხარბად მიეტანა, ალბად იმისთვის რომ თავიანთი შვილები ეხლავე უცხო ენაზე შეაჩვიონ ტიტინს და ლაპარაკში ქართული კილო ადარ გამოჰყვეს. ამ ბაღში ქართველი დედებიც ხალისით დაიარებიან, რომ დასტკბნენ თავიანთი შვილების სამფეროვან უცხო დროშებით გართობა-თამაშობით...

დაწესებულებებში.

აქაც იგივე უნყგეშობა, იგივე დაუდევრობა და საქმისადმი გულცივობა. ეს რომ სხვა ტომის ხალხი იყოს, კიდევ ეპატიებოდათ, მაგრამ წარმოიდგინეთ ისეთი დაწესებულება სადაც ქართველები მსახურებენ, ქართული წერა-კითხვა კარგად იციან და უცხო ენაზე აწარმოებენ მიწერ-მოწერას და სოფლის კომისარსაც კი გაუგებარ ენაზე სწერენ, რასაც რასაკვირველია საქმის აუსრულებლობა მოსდევს და ეს კი ვნებს სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობას.

ჩვენ დიდი იმედი გვქონდა ქართველ მოხელეთა კავშირისა, რომლის განყოფილება დიდი ხანია თელავში დაარსდა, პირველშივე გამგეობაც აირჩიეს, სადაც მოჰყვნენ ჩვენი საზოგადო მოდვაწენი და არჩევნებითვე გათავეს თავიანთი მოდვაწეობა. არა თუ ამ გამგეობას არაფერი გაუკეთებია, არამედ არც კი შეკრებილან და ეხლა ჩვენ არ ვიცით, არსებობს თუ არა თელავში ეს განყოფილება თუ გამგეობა.

ეს ასეც იყო მოსალოდნელი. ქართველ მოხელეთა კავშირის გამგეობაში აუცილებლივ უნდა შესულიყვნენ აქაურ სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელენი, რომლებიც საქმესთან ახლოს არიან, იციან ამა თუ იმ დაწესებულების ავკარგი და თავიანთი შემწეობით შეეძლოთ ეხლავე შესდგომოდნენ ნაციონალიზაციის გახორციელებას იქ სადაც პირობები ხელს უწყობდა მაგრამ ამ გამგეობაში მარტოდ-მარტო ერთი მოხელე შედის ისიც ხახინიდან და აკი ამისთვის სათავეშივე გაითიშა.

საჭიროა კავშირის გამგეობამ ეხლა ძაინც დაიწყოს მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა მოახდინონ მოხელეთა საზოგადო კრება, რომ აუწყოს დამაბრკოლებელი მიზეზები...

საზოგადოებაში.

ნაციონალიზაცია ძოდად და სიტყვის სათამაშოდ გახადეს, მხოლოდ თელავის ქართულ საზოგადოებას კი ქართველობა აოაფერში ეტყობა. თელავში სომხურ ენაზე ლაპარაკს უფრო ხშირად გაიგონებთ ვიდრე ქართულს, ვინაიდან ქართული საზოგადოება, მოხელე იქნება ეს, მასწავლებელი თუ ინტელიგენტი ერიდება მშობლიურ ენაზე ბაასს და ამისთვის ყველგან შინ და გარედ კერძოდ თუ კრებაზე უცხო ენაზე გაისმის ამ ჟამად სჯაბაასი და ლაპარაკი...

დაგიწყებული.

შემოწირულება

ჯავახეთ-მესხეთის ქართველ ლტოლვილთა სასარგებლოდ.

ევგენია ნიკოლოოზის ასული და გიორგი პეტრეს ძე სარაჯიშვილებისაგან პირველის უსაყვარლესის დისწულის ვერა სამსონას ასული ასათიანის ხსოვნის აღსანიშნავად 50 მანეთი.

ანა და ივანე ზედგინიძეებისაგან, უკანასკნელის უძვირფასესის დისწულის ვერა სამსონის ასული ასათიანის ხსოვნის აღსანიშნავად 100 მანეთი.

გამომცემელი:
სავსოლ შეგნელაძე
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა

ექიმი
ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ.
(ციფილისი — [illegible])
ლებულთ, ხანხლის ნაკლებობით, გულახა, ფილტვიხა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე სადამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 426

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
დებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესე მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). სადამოობით 5½—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიზაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა სადამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და სად. 4—6 ს. ფოლიკლინიკის ქ. 12, 9 უბანი. 1002

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე სადამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ეორონცოფის ძეგლის პირდაპირ
უოველ დღე (გარდა კვირისა
დილით:
„606“ და „914“ 11—12 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (ციფილის. ავადმყ.)
ვ. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ბ. ვ. ავანასოვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ავეტისიანი—ყანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
ბ. ბ. ბენიანოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ბ. ვ. ავეტისიანი—9—11 ს. საკუთრივ ბავშვთა ავადმყ.
ი. ი. ტერ-გრიგორიანცი: 1—2 ს. შინაგანი.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
ჩრევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1019

რ ძ ე
ძუძუ მწოვარა ბავშვისთვის; სწმენდს და ამზადებს ბავშის ჰასაკის
მიხედვით
ექიმი ქალი
ჩაწერა შეიძლება 3—6 საათამდე, ნიკოლოზის ქ. № 88, ტელ. 11—14. 754

სტამბა
„სახალხო საქმე“
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ ვამოცემათა, აფიშების, სადარბაზო ბარათების, კანტორის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას,
საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე.
კანტორა მოთავსებულია ქუჩის პირად. ბარონის ქუჩა № 14. ტელეფონი 17—96.

კერძო
მიხეილის სამკურნალო
მუდმივი ლოგინებით.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი, 167. 747

მედიცინის დოქტორი
მიუნხენის უნივერსიტეტისა
ნ. ლ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—5 სად.
შინაგანი, ბავშვებისა, საბებით და საშვილოსნოს სნეულებანი.
ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმონოვიჩის აფთიაქის გვერდით. 624

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებენს ყოვე დღე შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., სადამოთი 5—8 საათამდე. ბაგლოვის ქუჩა, № 7. 2130

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
ფეოდოსი ორდინატორი ტფილისის თვალთა საავადმყოფოსი, იღებს 4—6 ს., გარდა კვირისა. მისამართი: სურგანოვის ქ. № 1. მეორე სართული. 1009

ექიმი
ი. ი. გერიმვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და სადამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 8. 450

თვალის სამკურნალო
მუდმივი საწოლით
ექიმ დონხინისა
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში, თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და სადამოს 4—7 ს. მიხეილის პრეს. № 141 (ეპოლოს კინო-თეატრის მახლობლად), მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. სადამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ტელეფ. 17—49. 1153

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დღის 12—2 საათ. ეორდანოვის ქ. № 6.

კბილის ექიმი
კონსტანტინე არდაზიანი
გინაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

ექიმი
ე. ლ. ფალავანდიშვილი
იღებს საბებით და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027